საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს

დადგენილება №2

2024 წლის 31 მაისი

ქ. თბილისი

„ინფორმაციის კონფიდენციალურად მიჩნევის, მისი გაცემის წესისა და კონფიდენციალური ინფორმაციის ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2021 წლის 1 ნოემბრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-9 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭო **ადგენს:**

მუხლი 1

„ინფორმაციის კონფიდენციალურად მიჩნევის, მისი გაცემის წესისა და კონფიდენციალური ინფორმაციის ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2021 წლის 1 ნოემბრის №4 დადგენილებით (www.matsne.gov.ge; 03/11/2021; ს/კ: 240080000.11.004.016075) დამტკიცებული წესის მე-10 მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით დადგენილი წესით, გამოაქვეყნოს ეროვნული ბანკის მიერ დაკისრებული სანქციების შესახებ ინფორმაცია. ინფორმაციის გამოქვეყნება არ გულისხმობს ეროვნული ბანკის მიერ სანქციის გამოყენების შესახებ სამართლებრივი აქტის, ადმინისტრაციული წარმოების/შემოწმების აქტების ან ნებისმიერი სხვა მასთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაციის/დოკუმენტაციის გამოქვეყნების ვალდებულებას ან ასეთი ინფორმაციისთვის/დოკუმენტაციისთვის კონფიდენციალურობის სტატუსის მოხსნას.“.

მუხლი 2

ეს დადგენილება ამოქმედდეს 2025 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს ეროვნული ბანკის
საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის
შემსრულებელი **ნათელა თურნავა**